



№ 34 — 1916 ვ ა ს ი
 კვირა, 21 მაისი. 12 კაპ.

ჟურნალი „თეატრი და სპოზრება“
 წლიურად 5 მ, ნახევარი წლით 3 მ. გაწერა შეიძლე-
 ბა ფოსტით: Тифლისь, Ред. „Театри და Цховრება“
 Ios. Иведашвили. პირისპირ: „სორაპნი“-ს სტამბაში.

**წალ. ამოთხე
 გამომცემისა**



**გიორგი ფელიქსისძე ზდანო-
 ვიჩი (გ. მაიაშვილი)**
 ცნობილი მწერალი და საზოგადო-
 მოღვაწე. მისი ავადმყოფობის გამო.
 (გადაღებულია ახალგაზრობაში)



**სალომე ბეგუნის ასლი
 გურგენიძისა,**
 უხვი ქველმოქმედი, თითქმის
 მთელი თავისი ქონება-ფული,
 მ მულები, ვენახები და ტყე ქა-
 რთულ გიმნაზიას უანდერძა და-
 კრძალეს მარიამობისთვის 41
 ხოჯივანქის სასაფლაოზე.

მარიამობისთვის 21

მონდომება სიკვდილის შიშით სინოცხლე-
და ზედ აღრევე ხელს არავინ
მოქმედება. იღებს, დაღამების მოლოდინში
მზეს ნაადრევად არავინ ეთხოვება...

რა გუფთ, რომ ჩვენი ქვეყნის სულიერ ნი-
ვთიერ განვითარებას ათასგვარა ხელფონური და-
ბრკოლება წინ ედობება? რა გუფთ, რომ სკერთა-
შორისა რმინობის კოტონმა ჩვენს ქვეყანასაც
შოსთხრვა მსხვერპლი და მუსამე წელიწადია,
რატ ჩვენი სუბიექტისა ფუჭტნი რმს ზვარად ეწი-
რებაან? — განა უფველივე ამან სსსო უნდა წარ-
გვიკეთოს?

არა და არა! „ჭირსა შივან გამავრება“,
სომ ჩვენი დიდებულ წინაპართა ანდერძია...

ამ რჩილდე კვირასში სომამ რველისკენ კი-
დეგ უმში სხლხი ტაიკრიფება, მაგრამ ჩვენი ქვე-
ყანა ისე არ დიდარება, რომ აღრევე გუფი გა-
ვიტტმთ და ცხოვრების ძარღვის ტუმე შეეწევი-
ტოთ: სწორედ ახლა, ამ სკერთა ნგრევა შენების
დრის, უნდა გამფიჩინოთ უნარი და ჩვენა ში-
ნასური კულტურული — სულიერ-ნივთიერი ასაღ-
რძინებელი საქმიანობა გააჩაღოთ.

ჩვენი სათუატრო ხელფონების მუშაანი მო-
ვალენი არიან ამ თავითვე შეუდგენ თადარიგს,
შეადგინონ დასნი, შეამუშაონ რებერტუარი მტკი-
ნი, იდეური და, რატ შეიძლება, გარძეველი სს-
ნისა, და თავის დრისე მუშაობაც გააჩაღონ

მონდომება და მოქმედება, — აი, უჩინა-
რო ძადა, რომლისა წინაშე უფველი დაბრკოლება
გადალასება...

მუშათა სრუ მოარშიყავს

ვინც შორით თვალს უჭანჭურებს,
მას არ ძალუძს მუშის ცნობა;
ვერც მიხვდება მის ზღვა გულში
რა ღვთიური ღვივის გრძნობა

ვისაცა ქსურს „შავი ხალხის“
სამსახური, თანაგრძნობა: —
შეიფუაროს, — მას შესწროს
ოვისა კერძო შირაღობა.

კახეთი

და მისი დღევანდელი მდგომარეობა
(მგზავრის შთაბეჭდილება)

ძვირფასო მეგობარო! ვასრულებ თქვენს
სამართლიან სურვილს და დღეიდან ვიწყებ
„თეატრი და ცხოვრება“-ში წერილების ბეჭდ-
ვას, სადაც შეძლებისა დგვართ ვეცდები
მოკლეთ გავაცნოთ თქვენ და სხვა მკითხვე-
ლებს ჩემი ნახულ-გაგონილი კახეთში მოგზა-
ურობის დროს.

ჩვენი ხალხი ამბობს: „თურაშაულის პა-
ტრონი ტყეში დაედებს პანტასო“, — ეს აზრიანი
ანდაზა ჩვენ — ქართველებზე ზედგამოჭრილია:
ჩვენსას, რაც გინდა ძვირფასი ცოლს, ყურად-
ღებას არ ვაქცევთ, სხვისაზე-კი, რომელიც
ღირსებით ჩვენს ნახევარსაც ვერ შეედრება,
თვალი გვრჩება. უსწავლელი ხალხი ანგა-
რიში რომ არ ჩავთვალთ, ამ შემცდარ და
ყალბ გზას აღვია ჩვენი ნაწაფლობა ანუ ეგ-
რეთ წოდებული შინტელიგენცია“. ზოგიერთი
„დიხლოშიანი“ აღტაცებით დავიხატავთ ვეროპის
რომელიმე კუთხე-მხარეს, მაგრამ თავის ქვე-
ყანაზე კრინტსაც ვერ დასძრავს, რადგან
სიჭაბუკის დღეებს ვერობაში ატარებს, ვაჭვა-
ლობისას-კი ცხრა კლიტულ კანინეთებში.

სწორეთ ამიტომია, რომ თურაშაულისა-
თვის გვერდი აუფლიათ და პანტისათვის ჯანს
იგდებინებენ.

უქვევლია, კახეთი რომ სხვისი ყოფილი-
ყო, ჩვენ — ქართველებსაც შესწავლილი გვექნე-
ბოდა, მაგრამ რაკ ჩვენია, ჩვეულებისამებრ
თავი მიგვინტება, და არ ვცით რა მდგომა-
რეობას ვანიცდისეს ტურთა მხარე; უნდა ვი-
ცოდეთ კი უსათუოთ, რადგან ყოველი ჩვენი
მტერ-მოყვარე კახეთს კალისავით მისევია,
და ის მამულია, ის მიწა, რომელიც მრავალ
საუკუნეთა განმავლობაში ქართველ გმირთა
სისხლით ირწყოდა, დღეს ათას გვარი ოსტა-
ტობით სხვების ხელში გადადის.

მთელი კახეთის ბატონ-პატრონი თი-
თქმის თავად-აზნაურობაა, რომელიც ამ
ძვირფას მიწა-წყალს გაჩქარებით აძ-
ღევს უცხო ჩარჩ-ვაჭრებს; სულ უმცი-
რესობა მემამულეთა, რომელთაც არ ჩაჭკრო-

ბიათ გრძნობა მამულიშვილური, იკავებენ თავს, და თავიანთ მამულს ქაჩ-თველ გლეხებს აძენინებენ. მაგრამ უმრავლესობა არ დაგიდევს ამას: ხშირათ რომელიმე მემამულე გლეხის ჯიბრზე მამულს უცხოზე ჰყიდის; მას ვერ უგრძნენია, რომ ასეთი მოქმედება არა მარტო გლეხს სჯის,—მთელ სამშობლოს ყელსაქცის, თავისა და სხვებისათვის უბედურებასიხლოვებს გულშემზარავი ამბავი მიამბე! გურჯანელმა გლეხებმა: ჩვენი ნაბატონარი მიწასა ჰყიდა. გავიგეთ რომ სომეხი დესტინაში 90 მ. აძლევდა. ჩვენ—გლეხები დავგროვდით, მემამულეს ვიახელით და ვსთხოვეთ მამული ჩვენთვის მოეცა. დესტინა 100 მ. თავადი შეგვიბრდა, მაგრამ მერე პირი გვიცვალა, და მოგროვილი 2000 მანეთი თავზე გადმოგვახალა. გულ-გახეთქილი გავიქცით ქოდალოს სასამართლოში, სადაც მემამულეს სომხისთვის პირობა უნდა შეგვკრა; ვფიქრობდით ეგებ მემამულე დავგთანხმებულიყო, მაგრამ დაგვინახეს აუ არა სომხებმა (ალბათ მყიდველს სხვა სომეხებიც ახლდენ), მაუხერები მოგვიდერეს და სიკედილს დაგვემუქრენ, ვერაფერი ვეღარ მოვახერხეთ, მამული დაგვეკარგაო,-- დააბოლოვა გულდაშვებარმა გლეხმა და დასძინა: „გულმოსულმა შეგყავ პირი მემამულეს და ისე გაგლანძღე, რომ ალაზანიც ვეღარ გარეცხავდაო“.

ჯაფარ რაჭველი

მეგობარს

შენ გსურს იცოდე რისთვის მიყვარხარ, რისთვის გაფასებ უმაღლეს გრძნობით? — უმანკო რომ ხარ და შენი გული სასვე მარად უზადო ტრფობით. თუ შემდეგშია ცხოვრების გზაზე ივლი უცვლელად შენ აწყოს დარად,— გუნდრუქს დაგიკმევ და აღტაცებით შენთვის ვიმღერებ მარად და მარად!.

ღარიბი ახვლედიანისა



უიქრები ურთი- მოცუხილისა

ოთხის მსხვერპლნი.

ოთხი თვის განმავლობაში აღარაფერი გამეგო ჩემი უმცროსი ძმისა, რომელიც ოსძალეთის ასპარეზე ხანგრძლივი და ცხარე ბრძოლის უნებლიე მონაწილე უნდა განხდარიყო. ჩემი გულის მღელვარება მით უფრო იზრდებოდა, რომ წინად ჩვეული ვიყავ მუდამ კვირის თავზე წერილის მიღებისა. თუმცა მე, დაპირებისამებრ, ი'ვგ ვანვარძობდი ვადაზე შინაური ამბების მიწვდას, მაგრამ პასუხი... პასუხი ძლიერ იგვიანებდა და ეს დაგვიანება, ჩემის ფიქრით, კეთილს არაფერს მოასწავებდა. ცნობისმოყვარეობა მქლევდა — გაზეუებს ბეჯითად ვათვლიერებდი, მაგრამ იმავე დროს შიშის ზარით ვიყავ შეპყრობილი: ვაი თუ ჩემი ძმის სახელს მოკლულთა სიაში შეგხეჩებოდი. მაგრამ გაზეუების კითხვამ უნაყოფოდ ჩამიარა. ნაცნობებმა მიჩიეს სწახედრო ოლქის შტაბისათვის მიმემართა, სადაც დანიშნული ყოფილა განსაკუთრებული მოხელე ომში მყოფთა თავგადასავლის შესახებ ცნობების შესაკროვებლად და მსურველთათვის გარდასაცემად.

მეც ვავეშართე შტაბისაკენ. ოთახი, სადაც მეომართა ნათესავებს იღებდნენ, საკმაოდ ფართო იყო და სულ გავსებული ხალხით. ყველას, ვინც ახლად შემოდოდა, მოხელე მსწრაფლ მიმართავდა ხოლმე წინადადებით:

— დასწერეთ გვარი, სახელი, წოდება თქვენი ნათესავისა, აგრეთვე აღნიშნეთ იმ ჯარის ნაწილი, სადაც ის მსახურობს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებთ საჭირო ცნობებსო. რასაკვირველია, ყველა ემორჩილებოდა ამ მოთხოვნისას. მეც ავიღე იქვე მაგიდაზე ამ საგნისათვის დამხადებული პატარა ქაღალდის ნაჭერი, დაენიშნე, რაც საჭირო იყო, და მოხელეს გადავეცი.

პასუხი თითქმის ყველასათვის საკმაოდ იგვიანებდა. ბევრი, მოთმინებიდან გამოსთლი, აღარც-კი იღებდა, ისე ცალიერი ბრუნდებოდა შინ. რაკი ეს შეგნიშნე, მივიდგი გრძელი

მაციდის ბოლოში სკამი, აღვიქურვე მხნეობით და დავიწყე ლოდინი.

ლოდინმა სამი საათი გასტანა. ნეტა რა არ განვიცადე, რა არ ვნახე და რა არ გავიგონე ამ ხნის განმავლობაში!

მესმოდა, ვინ რა პასუხს იღებდა: ზოგს ეუბნებოდნენ „მოკლულიაო, ზოგს — „დაქრილიაო“, ზოგს — „ცნობები ჯერ არ მიგვიღია“, და სხ.

ვხედავდი, რა პასუხს რა შედეგი მოადევნა. მომეტებულ შემთხვევაში უფრო გულგამგმირავი ქვითინი ისმოდა, გუფითრებულ სახესე აკანკლებულის ხელით ცრემლებს წმენდას ხომ ბოლო არ ჰქონდა.

სურათი მეტად მძიმე და დამაფიქრებელი იყო. მეც ფიქრებმა მომიცვა, რასაკვირველია, ომიანობაზე. მთელს ჩემს სიცოცხლეში ჩემს გონებას ომიანობის უსამართლობა და ვერაგობა ისე მკაფიოდ და ნათლად არას დროს არ დაუსახავს, როგორც ამ წუთებში.

მე დავასკვენ, რომ ომი უსათუოდ ნაშთია ადამიანის ველურობისა; რომ მიუხედავად კაცობრიობის ძველი და ახალი კულტურისა, ცივილიზაციისა, ათასგვარ გამოგონებისა და ახალ-ახალ საოცარ აღმოჩენებისა, ადამიანის ტვინში ბევრი მხეცური ინსტიქტი ზუღობს; რომ ეს ინსტიქტები არსებულა დასაბამითგან დღემდის და იარსებებს ვიდრე ადამიანი თავის საზიზღარის, ქუქყანის ფეხებით სთელავს მწვენიერ, ჯადოსნურ და მდიდარ ბუნებით შემკულ დედამიწის ზურგს; რომ ომის ეშხით დამთვრალი ხალხი ტყუილად ეპოტინება „სახარებას“; რომ სახარება და ომი — ეს ორი ერთმანეთთან შეუსაბამო, მოულოდნელი, შეუფარდებელი და საწინააღმდეგო ცნებაა; რომ ვისაც ომი ჰსურს, იმან ჯერ უნდა უარჰყოს სახარება, პერე საკუთარი ტანები განადგუროს და მხოლოდ მას შემდეგ აიღოს ხელში თოფ-ხარბაზანი.

სადაღე ყოველი რელიგიისა და ცივილიზაციისა უნდა გამოიხატებოდეს ადამიანის სიცოცხლის დაცვაში და არა მის სისხლის ღვრაში.

ამ ფიქრებში რომ ვიყავ გართული, ოთა-ხში შემოვიდა სიბერისაგან წელში მოხრილი

ყავარჯენზე დაყრდომილი, შავ, გახუნებულ ტანისამოსში გახვეული ქართველი დედაბერი ამ სუსტი ნაბიჯით პირდაპირ მორიგ მოხელესთან მივიდა.

ამ საბრალო ადამიანს ყოველისფრით ისეთი უბადრუკი შეხედულობა ჰქონდა, რომ ფიცხლავ მიიპყრა ჩემი ყურადღება.

ბარათის დაწერაც-კი არ დასკირდა: ემჩნეოდა მოხელე პირველად არ ჰხედავდა ამ მოხუცს. მისვლის უმაღლე იგი მას მოუბრუნდა და თითქო გაზეპირებულის კილოთი წასწერჩულა:

— თქვენი შვილების შესახებ ცნობები კიდევ არ მოგვსვლია, დედი, მერე მობძანდით.

— სულ მერე და მარე: რა უბედურებაა, — თითქმის პირუტყვის ხმაზედ შეჭბლავლა მოხუცებულმა, — დავიღალე, მოვიქანცე აქ სიარულით და ოთხ შვილში ერთის ამბავსაც არ მატყობინებენ ამდენი ხანია!

— აღბად უბრალო ჯარის კაცები იქნებიან თქვენი შვილები, — გამოგვხმაურე მოხუცებულს.

— არა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი. — ოთხივე აფიცრები არიან. პირველად დროგამოშვებით წერილები მომდიოდა იმათაგან. ახლა ექვსი თვე სრულდება, რაც არც ერთისა აღარაფერი მსმენია. კვირაში ერთხელ მოვდივარ აქ; ყოველთვის ორი-სამი საათი მალოდინებენ; ხან სრულიადაც ყურადღებას არ მაქცევენ და ხან მისტუმრებენ იმით, რომ მეუბნებიან „მერე მოდიო“; შებრალება არავისა აქვს, არც ჩემ მოხუცებულობას სცემენ პატივს, აღბად ცნობების გადმოცემაში ფულის მიღება თუ ჰსურთ. რა ვქნა, ღარიბი ვარ; ორ შაურს და აბაზს ხომ ვერ შევკადრებ და მეტის გაღება კიდევ მე არ შემიძლიან.

მოხუცებულმა ტირილი დაიწყო, თვალვებზე ხელსახოცი მიიღო და კუთხეში მოშორებით დადგმულ სკამისკენ მიიღო პარი.

ჩემი გული საშინლად აღაშფოთა ცალკე ამ დედაბრის მწუხარებამ, ცალკე იმ მოხელის მოქმედებამ, რომელიც მეტად გულქვად, უგრძობელად და მჩაგვრულად მეჩვენა.

მსწრაფლ აღმეძრა სურვილი გამოსა-
რჩლებიან.

— ბატონო, — ცოტა უკმეხად მივმართე
მოხელეს, — რა მიზეზია ამ დასუსტებულ მო-
ხუცებულს ექვსი თვის განმავლობაში არ
ატყობინებთ თავის შვილეთის ამბავს, მერე
ისიც აფრცხვანისა? ეს ხომ დიდი უსამართ-
ლობაა, სხვა უფრო ცუდი სახელი რომ არ
გუწოდო!

— თქვენ გეტყობათ, — მომიგო ჩემის ხმის
კილოთი აღელვებულმა მოხელემ, — ძალიან
გულკეთილი და სიმართლის მოყვარული
ბრძანებულ ხართ. აი, ეს მოხუცი და ეს კი-
დეგ ნამდვილი ამბავი: რადგან მე ამისთვის
ლონე და გამბედაობა არ შემწევს, ამიტომ
იკისრეთ თქვენ და გარდაცით, რომ ოთხივე
მაგისი შვილი დახოცილები არიან.

ამის გაგონებაზე მუცელში ენა ჩამივარდა,
გავშრი, თავზარი დამეცა, შერცხვენილი და
უაზღვროდ შეწუხებული გამოვბრუნდი ჩე-
მი სკამისკენ.

ორიოდე წუთის შემდეგ სხვა მოხელემ
მე გამომიძახა და მითხრა: „თქვენნი (მა ცო-
ცხალია და კარგადაც არისო.“

წუთისოფელო, ვაი რა კრელი ხარ!..
ჩემი ძმის კაი ამბავმა მალე დამავიწყა დე-
დაბერის შემზარავი უბედურება.

და... შინ დამშვიდებული წამოველ...

ალ. მირიანაშვილი



პრაპორჩიკი ვიქ სამ. ელისაბედიაშვილი
ექვსი თვეა კავკასიის საომარ ასპარეზზე, უკანასკ.ელ
ბრძოლაში მამაცურ მონაწილობის გამო მიიღო ჯი-
ლდოები ანნი 2 ხარისხ; სტანისლავა 3 ხარ. წარდგე-
ნილი პოდპორუჩიკობაზე.

წმინდა სელოვნება

„უოველი სელოვნანი თავისი ქმნილებით
გულში უნდა გვიძრავდეს საუკეთესო გრძობებს,
უნდა გვითითებდეს საუკეთესო იდეებს“ —
სწერს საფრანგეთის სასელოვნანი მწერალი ქალი
ჟორჟ-სახდი ამავე ქვეყნის გამოჩენილ პოეტს
შარლ პონსს. ამით ჟორჟ-სახდმა აშკარად გაი-
ლაშქრა სელოვნების ერთი მიმართულების, ე. წ.

„სელოვნება სელოვნებისათვის“ — ის წინადადება
თუ კი საერთოდ სელოვნება ცხოვრებას უნდა
ემსახურებოდეს, კერძოდ სათეატრო სელოვნე-
ბას სხვა დარგებსზე მეტი მოვალეობა ეკისრება;
სათეატრო სელოვნებას მრავალ მათეურებელთან
აქვს საქმე, დანარჩენებს უფრო ერთეულებთან.
თუ კი უოველ ნაბიჯზე საჭირო სიფრთხილე,
მასის გონება-გრძობაზე მოქმედობის დროს ის
ყველაზე უფრო საჭიროა.

თუ კი მასის თვალში რამეს ფასი დაეკარ-
გა, მისი აღდგენა ერთობ ძნელია, ხშირად შეუ-
ძლებელიც.

მოკლედ: სათეატრო სელოვნებამ მათეურე-
ბებში საუკეთესო გრძობების გაღვივება უნდა
დაისახოს მიზნად; ამ მიზანს კი ძვიერ ფრთხი-
ლად უნდა ემსახუროს. წინა წერილში *) ვწერ-
დი, სათეატრო სელოვნება სათუთია და მის მო-
სამსახურე-სელოვნანს აუცილებლად უნდა ჰქონ-
დეს განდღის უნარ-ნიჭი მეტში. სელოვნების
სიწმინდის დასაცავად ეს აუცილებლად მიმაჩნია.
რომელი თეატრიც ამ ძალას მოკლებულია, ის
სელოვნებას არ ემსახურება.

ამ მხრით მეტად უნუტეშო პირობებშია
ჩვენი თეატრი. ჩვენი საერთო სენია: ყველა-
ფერს მჩატედ ვეკიდებით.

პოეზიას და სათეატრო სელოვნებას ყვე-
ლაზე მეტი ვებედურება დაატუდა ჩვენში ამ სე-
ნის-გან: დღეს ყველა წერა-კითხვის მტოდნე
ქართულს აქვს ისაკუთარი ლექსთა კრებული
და — კიდევ უარესი — ყველა ღაზაზაის მტოდნეს
უნდა სტენაზე თამაში, თუ კი მას ვრთხელ მაინც
უნახავს თუნდაც უხეიროდ დადგმული პიესა...
თუმცა ამ „საერთო პოეტობისა“ გამო ნამდვი-
ლი პოეტი ვერ გაგონივრება ნაძალადეგ „პოე-

*) ის „თეატრი და ცხოვრება“ № 32.

ტისჯანა, მკრპმ, თეატრთან შედარებით, ეს არც ისეთი უბედურებაა: რომელიმე თავმოყვარე ახალგაზდა რამდენიმე თვის განმავლობაში თავის ლექსების თუნდაც ხუთ პრეტენტი დააბეჭდვინებს და შემდეგ მუხა „შემოუწერება“, — მწერლობის თავს ახეობს... თეატრის ბუდი სხვა-ნაირია. ჩვენში ისეთ ინტელიგენტს კიდევ მინახავთ, რომელსაც გაზეთში ლექსი ან დაბეჭდვას, მაგრამ სტენანზე რომ არ ეთამაშოს, ისეთ ინტელიგენტს, განსაკუთრებით პრავინციისში, ძვირად ნახავთ. წარმოდგენის გამართვა თავშესაქტვე საგნად მიანიათ. მხოლოდ თბილის. ქუთაისში თუ ნახავთ პიესის შეგნებულ ადმინისტრატორს; ბაქო, ბათუმი, ხაშური, ჭიათურა და ამ ბოლო დროს სამტრედიას კიდევ შეიძლება გამოხატვისად ჩათვალოს. სხვა სტენებს ერთი ან ორი შეგნებული მოთამაშე თუ ჰყავს, ესეც დიდი ბედნიერებაა. განსაკუთრებით საშინელ სუკრათებს საფხვულობით იხილავთ სოფლებში.

— კაცო, ღამის მოწვენილობამ გადაგვიტანოს. * მთლი, ერთი წარმოდგენა გავმართოთ, — ეუბნება სოფელში მომწვედი ერთი ინტელიგენტი მეორეს.

— რომელი პიესა დავდგათ, ან ვინ ვართმავთ? — ეკითხება მეორე.

— გოდველები, კაცო! სადმე გამოგნახოთ რომელიც უნდა იყოს. მოთამაშეებსაც ვიშოვოთ: მე, შენ, ეფრასინე და სხვ. — მიუგებს პირველი.

— ახლო-მახლო სოფლებიდან რაც კარგი ქალიშვილებია, სულ დავაპტივოთ! — აღტაცებით შესისხებენ ორივენი და სათქატრო ხელოვნების საქმედ გამოწეობილია. ტანმოსართავი ყველა პიესისთვის სოფლის გოგო-ბიჭების ტანსაცმელია; დეკორაცია — სასლის, ან სასწავლებლის მოთხუზული კედლები. ამათზე საზრუნავად ვის სტადია, როცა ახლო-მახლო სოფლებიდან ქალიშვილებია მოსამატეებელი და ბრათებია დასაცხავნი. ამაზე შორს არც დერჟავინი წასულა, როცა მან პოეზია პამანაქების დროს მოსართმევ დამონათს შეადარა.

საფხვულობით ამ საქმეში დიდ ენერჯის იჩენს მოსწავლე ახალგაზდა. მათში ორ-სამს თუ ექნება შეგნებული ხელოვნების მიზანი, ისიც კარგი. მათი მიზანია, უმთავრესად, გასართობად

*) რაღა თქმა უნდა, ეს ყველას არ შეეხება.

ახალგაზდების შეერა და მათ წინაშე სტენანზე ეკონტაობა. — მაჟურელებს, მართლაც, ახლო-მახლო სოფლების მთარშივე ქალ ვაჟები შეადგენენ. გლეხებში ერთ-ორს თუ ნახავთ, ისინიც ხელზე მოსამსახურენი იქნებიან... განა ასეთი წარმოდგენები ხელოვნების მიზანს ოდნავ მაინც ემსახურებიან? პირიქით, დათუერ სამსახურს უწევენ!

ხელოვნების ყოველმა პატივისმცემელმა პირმა შესაფერი ზომები უნდა მიიღოს ასეთ წარმოდგენების მართვის წინააღმდეგ.

სულ ათიოდე წლის წინად ჩვენს სოფლებში მოხშირებული იყო არღნება. მის გარშემო იკრიბებოდნენ, თამაშობდნენ, ღაყობდნენ; მის ხმაზე ქალ-ვაჟნი მთელ დაშეებს ათენებდნენ. წარმოდგენაც ცოტა უკეთეს სახით ამავე დროს თამაშობს ხშირად: ახალგაზდები შეიკრიბებიან, თავს შეიქცევენ და „დრო განატარები“ სახლში წავლენ...

თქმულის შემდეგ ბევრი არ დასვამს ასეთ კითხვებს: როგორ ასრულებენ როლებს მოთამაშენი? როგორ უსმენენ მაჟურელები? როგორ შთაბეჭდილებას სტოგებს სახლზე ასეთი წარმოდგენა? ჩვენ ამ კითხვებზე ვუპასუხოთ.

არ. ფანცულაია.



უბედურად დაღუპული ამხანაგნი კიკნა — ფშაველია და გრ. ხერხეულიძე

(მათის გარდაცვალების ორმოცის შესრულების გამო. დღეს ნაძალადევის ივერიის ეკლესიაში პანაშვილია დანიშნული გრ. ხერხეულიძის სულის მოსახსენებლად).

ნაწევრები გრ. ხერხეულიძის დღიურიდან

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 32)

დეკემბრის 25

შობა დღეა... უცხოეთში ვარ... ასე უკეთურად, უბულოდ პირველად გვგებები შობას.

ჩემს ოთახში სიმუდრეოვანა, კარდ თოვლი დევს... ქუინავს... ოჰ! მცოცხ, მცოცხ!.. მარტო ვარ უცხოეთში... ჯერ არავის შემოვლია ოთახის კარები. ხალხს არავინ არი... მშობლები?! შორს ვიმუთავებო მათგან... მეგობარი?! არც მეგობარი მყავს ახლო. გუშინ წყრომითსატყვა პირში მომახალა... განმშორდა... შემომწყრა. თვალს ცრემლი მომერია. მეტირება, გული კვდება... ვინწინობი... აკერ ცრემლი მოსწუდა თვალს; დახმ-ღუპით გადმოვიდის. ნაღველი ოდნავ სძლია... მეკობარი?! ოჰ!.. მარტო ვარ... უცხოეთში... მხოლოდ ბუხარში ცეცხლი ღრიალავდა. კარგია, რომ ეს ცეცხლი მითბობს მომავალის იმედებში... შობა... შობა...

დეკემბრის 25

ვერავი, მზაკვარი ადამიანის მაგიერ რომ ღმერთს სულ ოთხ-თუხი ცხოველი გაქინა ისა სჯობდა. ან რა გასაჩენია საყოველთაოდ ადამიანი?! — ღმერთისავე საგინებლად?! ცბიერი ენა მანც თავის სიბრტყეს არ დაიშლის, სადმე მოსწრებულად გივლას დაგშხამავს, დაგებნს. ასეთები ბლომად არიან ჩვენში და აი, ვგონებ ისიც ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის. რადგან საჭირაებისამებრ დღეს ჩემთვის აშკარაა მისი ფიზიონომია — იგი ჩემთვის საშიშვებას ადარ წარმოადგენს, ჩიტი მასეში გაება და თუ აფრთხილდება, თვითონვე მოიტყის თავის სუსტ ფრთებს. ბევრჯერ მიღვარდა, ბევრჯერ ითვალთვალა, წყაღს გამტყრან. მშინაზე დამტოვა, სათანადოდ ვერ დავაფანჯე კბინებამდის მისი საქციელი. დღეს კი, ასეთი უმსკავსო მოქმედების შემდეგ ვეღარ მივართვი. უგულაფერა უხდა გამაშკარავდეს; თავისი უხდა მიუტყუო. ავი თვითონაც გრძობს, რომ მიუხვდი სიღბოერეს, და თავ-ხაქინდრული დარბა, ომი წაავო... რას იხამ!.. უკამქის მოჭიდავე ცხვარს რქები არ შერჩებაო“.

დეკემბრის 30

ადამიანი, რომელიც ფლიდის ერთ სხვას უიანდაზად გაეშლება, რაა თვალთმაქცური ქება-შესხმით თავი მოუქოლიაოს — იგივე იუდაა. ამაზე მეტი ხნე-დაცემულობა წარმოუდგენელია... ადამიანი, რომელიც მუდმივ თავის ქებაშია, რომელიც თავს რინდობაში და წარმატებაში სდებს, — ჩემს თვალში ფასსა ჰკარავს.

იანვრის 12 -- 1915 წ.

როცა იცი ადამიანის უზნეობა, დაცემულობა, უვარგისობა და შასთან ჭანაგრძობ ნაცნობობას, ვითომდა ამხანაგობასაც, — თუკი ის რამეს ვაწყენინებს, პირად შეურაცხყოფას მოგაყენებს იმის კი არა, შენს თავს უნდა უსაყვედურო... საუფედურის, დასჯის დი-რსი ხარ იმიტომ, რომ იცოდა მისი სულიერა ვგარჯიანობა, ასე ვსთქვათ უსულობა, უდაპინობა და მანც საქმეს იჭერდი მასთან. სწორედ ამისთვისაა ასე საკულისმძიერო ქართული ანდაზა: „რაც მოცივა დავითაო — ეგვლა შენი თათათაო“.

იანვრის 20.

მარტო ვარ, მარტოა... მოდით, მითხარით ვინმე რამე, რომ მეც კარდავიქმნე ცოცხალ ადამიანად და მეც რამე წველილი შევიტანო საერთო საქმეში. მაგრამ, რას ვაშობი?! მე ხომ უბრალო ადამიანი ვარ. ხელს ვინ გამომაწვდის? ეგვლა ისინი დიდ რამეებს, ან ვინმეებს ეჭიდებიან, ეზოტინებიან და ჩემისთანა ხაწიებს, მატონობის მაგიულ ზიზღით უმზერენ. რათა? მერე რად ხდება ასე? აი კიდევ ერთი „საჭირობო-როტო საკითხი“ იღ. ჭავჭავაძისა არ იუყვს.

იანვრის 22

ნათქვამია, ვინც ძალაან გიუვარს იმისგან ცოტაც გეწინებაო. ჩემის აზრით, არც თუ საფსებოთ ასეა. ცხადია, უმეტეს შემთხვევაში ასე ხდება, მაგრამ არის ზოგიერთი გამონაკლისიც. აი, მაგალითად, როდესაც ჩვენ, გულითადი ამხანაგები, ერთი მეორეს რამეს ვაწყენინებთ (რასაც ვიგეგვია, თუ ეს წყენა ხაზღვარს არ გადასცილდა), თითქოს ამის შემდეგ უფრო შორს მხედველის თვლით ვიყურებით ერთმანეთის სულსა და გულში; თითქოს უფრო მეტი სიმძლავრით იბმის ჩვენში ძაფი მეგობრულის კავშირისა, ასე ვსთქვათ, ერთად გვადულდებს და რაღაცა ერთ მთლიან არსებად გვაქცევს ამას ვაშობი იმისთვის, რომ ჩემ თავზე გამომიდნია. და რამდენადაც დავიგეგვული ვარ, მეონია არც უნდა ვსცდებოდე. მაინცადა მაინც მე ასე მეონია. შეიძლება ამაში მარეგვლად სხვა არ დამუთანხმოს, მაგრამ როდესაც გაინდას ამ მომენტს, დარწმუნდება ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებაში.

იანვრის 28

ხშირად აღამიანი მტერსაც ვერ გაიმე-
 ტებს სასიკვდილოდ. მართლაც, რის მტერა,
 რის სიყვდილი? ჰაიტიკათ, უბრალო შემთხვევად
 კი ხშირად გულს დაგწყევტს. აღამიანიც, რო-
 მელიც, თუ პირდაპირ არ მიწვედა მტრობას,
 ისე მაინც ჯინში მიდვას, ჩემთვის ყოველი
 კარგი ჰმურდა,—დღეს დამშორდა. სამშო-
 ბლოში წავიდა და იმის მაგიერ, რომ გამხარე-
 ბოდა, ჩემი ფიქრი და გონება თან წარიღო...
 მეტირება. ფიქრით იწევ მასთანა ვარ, იქნე-
 ბა იმიტომ, რომ მისმა წასვლამ საქართველო-
 ში, დროებით მიძინებული სამშობლოსადმი
 გრძნობა კვლავ აღმიძრა... მარტო ვარ, მარტო.

გ.რ. ხერხეულიძე



ჩემსას

ეჰ, რა გითხრა, როგორა ვსთქვა, ან კი როგორ გაგიბეღო,
 მეტყვი: სტყუი, ცელქობ შენთვის, ჩემო გიჟო, ჩემო ყბეღო
 მთვარესავით დათენთილო და მზესავით ძალიანო,
 ფოლადივით მიმზიდველო, ღონიერო, ღალიანო,
 ღმერთი, სჯული, საღავათი, ყინულს ცეცხლი წაეკიდა,
 გააფთრებულ ღომსა და ვეფხვს მელა კბილზე დაეკიდა.
 დაეკიდა მუქართა: თქვენ რომ კბილზე კბილსა ღვსავთ,
 ერთსაცა და მეორესაც ქვებზე თავპირს წაგიგლესავთ.
 რა გგონიათ, როგორა მცნობთ, ტყვიით ხელ-ტაშ გახვრეტოლსა.
 სისხლის ცრემლებს, ზღვად ქცეულებს, ჩემგან მუქით დახვრეტოლსა
 დღეს არაფრად აღარა ვთვლი, შორს მიქირავს ნავსი თვალი.
 ერმანეთს რომ ამოიჭამთ, მე დამჩება მომავალი.
 რაღა გითხრა, ჩემო კარგო, სალ-კლდესავით ძალიანო,
 მთვარესავით მოქანცულო, და მზესავით ხალიანო.
 ყინულს ცეცხლი წაეკიდა, შორს გაისმის ღოჭთა ბრდღვენა
 და მელას კი არად უჩანს დღეს მშობლების ცრემლთა ღვნი.
 ეზიდება მკვდარს და ცოცხლებს, ხელს უმართავს დამეც კნაოს,
 ასუქებს და აღივლივებს თავის სორო-საკუქნაოს...

შიო მღვიმელი

გამოსათხოვარი სიტყვა

(გვ. ივ. საჩაჭიშვილის სამარჯესთან თქმული მა-
 რიაშობისთვის 11 დიდუბეში)

სიკვდილ მა ჩამოიარა—ვაი ერთის პატ-
 რონსაო.

ჩვენი ერთი იყო იგი, რომელიც აგერ



მიხეილ (მიშა) ჟღენტი

წვეტიტეს და გაგზავნეს. გარდაიცვალა საკატროლო
 ციხეში დატყვევებული მკათათვის 6 1916 წ. დარჩა
 ცოლი და ოთხი მცირე წლოვანი ბავშვი უსახსროდ.
 ამხანაგთა გულში მისი ხსოვნა სამარადისოდ იქნება.

განმანთავისუფლე-
 ბელ მოკარაგის ერ
 თი მსხვერპლთაგანია,
 სხვათაშო რის, მიხე-
 ილ (მიშა) ჟღენტი,
 რომელიც 1905-1907
 წწ. კახეთის გლეხთა
 გათვით ცნობიერების
 საქმეში მხურვალე
 მონაწილეობას იღებ-
 და. 1906 წელს ციმ-
 ბირს გადასახლეს.
 იქიდან დაბრუნებუ-
 ლი ისევ ჩაება სა-
 ერთო საქმეში. 1911
 წ. ციხეში ჩ სვეს. პო-
 ლიტკურ საქმეზე 6
 წ კატროგა გადაუ-

ჩვენს წინაშე განისვენებს, იგი, რომელიც,
 თურმე, სხვათაგან დანგრეულ ჩვენი ოჯახის
 აღდგენაზე ზრუნავდა...

პატრონი-კი ჩვენ, რომელთა შორის ფრი-
 ად ბევრია ოჯახის დამანგრეველი, მამა-პაპის
 კერის დამამზობელი, წინაპართა მიწა-
 წყლის გამფლანგველი...

მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ჩარხი უკუღმა შეტრიალდა, ქართველი ქალი გადაგვარების გზას დაადგა, გარეგნული განათლებით შემკული გაუთავებელ ფუქსავატობაში ფლანგავდა ქონებასა და ოჯახურ-ზნეობრივ მოვალეობას, მაშინ, როდესაც ქართველი ქალის დიდი უმეტესობა ივიწყებდა და ივიწყებს დედისა და შვილის მოვალეობას, ეს მოგვევლინა სწორუბოვარ დედა-მეუღლისა და ოჯახის ამგების ხატებად.

მაშინ, როდესაც ჩვენი ერის დიდი ნაწილი მამა-პაპეულ მამულ დედულს პირად სიამოვნებაში ფლანგავდა, ფლანგვას და მემკვიდრე—შთამომავლ-ბისთვის არასა ზრუნავს, აჰა, ეს ადამიანი მთელს სიცოცხლეს მხოლოდ იმიტომ ზრუნავდა, ცალს ცალზე ადებდა, მონაგარს ჰზოგავდა, რომ უძეო—უშვილოს მთელი ერი ეშვილნა და მისთვის სულისა და სხეულის საზრდო გაეჩინა..

განსვენებულმა დიდი შორს-გამჭვრეტელობა გამოიჩინა თვისი ქონების გონივრული განაწილებით.

მან, ვითარცა გონება-ნათელმა ქალმა, კარგად იცოდა, რომ ხელოვნების ტაძარს — თეატრს ჩვენს ბედში მყოფთათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მის აგებას საძირკველი ჩაუყარა..

მან, ვითარცა ჩვენი ხალხის მზრუნველმა დედამ, კარგად იცოდა, რომ ჩვენი ქვეყანა სწავლითა და გამოსადეგი ცოდნით ჩამორჩენილია და ამიტომაც ქართველ ხალხში წერა-კითხვის—ცოდნის გავრცელებას სახსარი გაუჩინა.

მან, ვითარცა მშობლიურ ოჯახში—სამშობლო ნიადაგზე აღზრდილმა მაპულიშვილმა ქალმა, კარგად იცოდა, რომ ერი, რომელმაც თვისი წარსული არ იცის, აწმყოს ვერ გაითვალისწინებს, მომავალს ვერ გაიბრწყინებს,—და ამიტომაც დიდი თანხა დაუტოვა ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას..

მაგრამ კიდევ უფრო საგულისხმო ისაა, რომ მან კიდევ ერთი მკვიდრი ქვა ჩაავდო ამერი-იმერეთისა და სრულიად საქართველოს გაერთიანების საძირკველში.

და ამით გვიტხრა—საქართველო ერთია, მნდა გამთელდესო..

დღო დედაო ეკატერინე! გაივლის ჟამი და დღეს შენგან კეთილ-ქმნილ საქმეთა შედეგი ერთი ასად განბრწყინდება ნაყოფით თვისითა,—მოდგმათა მოდგმა გულში გატარებს, მშრომელის ხელი მულამ პირჯვარს გამოისახავს და ზენაარს შესთხოვს შენს საუკუნო ნეტარ განსვენებას, ხოლო ერი ინეტარებს ნამოქმედართა შენითა!

ნება მომეცი მუხლთ მოვიდრიკო და თავყვანი გცე ჟურნალ "თეატრი და ცხოვრების" სახელით შენ, რომელმაც ქართული ხელოვნების ტაძრის აგებას საძირკველი ჩაუყარე, წერა-კითხვის გავრცელებას იარაღი მიეცი, ჩვენის წარსულის შესწავლას ფრთა შეასხი.. ქართული სცენის მელპომენა მულამ კურთხევით მოგიხსენიებს და ვიდრე იგი იუკვავებს—შენც უკვდავ დარჩები, ვითარცა ხელოვნების დიდი მფარველი—დიდი დედა!..

არ მოკვდება ქართული სცენა და მწერლობა—არ გაჭკრება შენი ხსენებაც!..

იოსებ იმედაშვილი



კონსტანტინე ილიასძე ურული
 კავკასიის ასპარეზე ბრძოლის ველზე მოკლული. დაკრძალეს მარი მობისთვის 7 დიდუბეში. შეუღარველი და მამაცი მეომარი იყო, ჯარის კაცთა სათაყვანო და ამხანაგთა საყვარელი.

მელანქოლია

რა შორს არის ეს ქალაქის ბალი ამ ქალაქიდან. „ქალაქის ბალი“ კი ჭკვიან. უნდა დაგლოჯო ერთი წყვილი ფეხსაცმელი ბაღში მისვლამდე და სახლში ფეხშიშველა დაბრუნდე. ეტყობა, აქაურებს ძლიერ ყვარებით სიარული... რას იზამ. ისინი ხომ მაწანწალასავით არ იანგარიშებენ რამდენის ფეხსაცმელს გავლევჯენ ან რამდენ კაპიკს ზედმეტს მისცემენ მეეტლეს... მაგიერთა უზომოთ ყლაპავენ ქალაქის მტვერით სავსე ფილტვებით ამ ზღვისა და ფიქნარის ჰაერს...

მაშ როგორ გეგონა—რისთვის იანგარიშებენ...

კიდევ კარგი, რომ ღმერთს ფილტვებით სუნთქვა გაუჩენია, თორემ საუბედუროთ მუცლით რომ სუნთქავდენ, შენი მტერია შენ აღარაფერი დაგჩემოდა,—აქ ჩამოსული მოაგარაკენი თითქმის ყველანი ხოლომოგორის ჯიშის არიან—დაუსივებით მუცლები და დადიან ნელა ნელა, თითქოს შიშობენ მიწა არ გაგვისქდესო.

მივდივარ ბაღში და ვესაუბრები ჩემს თავს... აბა ვესაუბრო? მართალი სთქვა ტი უტჩემმა:

Молчи, скрывайся и так

И чувства и мечты свои...

И всё-же кто поймёт тебя“?

აბა ვინ გაიგებს ეხლა, თუ რა ცეცხლი ტრიალებს ჩემს გულში... იქნება ცეცხლი სრულიათაც არ ტრიალებს, და ჩემს მუცელში, მით უმეტეს—იქნება სრულიათ არაფერიც არა ტრიალებს...

ჰო და მიდი და უთხარი ახლა რომელიმე მოსიერნთაგანს—ჩემს მუცელში არაფერი არ ტრიალებს თქო... ასეთს გადმოგიტრიალებს თვალებს და შექცება სხვა რამესაც რომ...

მაგრამ რაღა ეს ბალი ამოვიჩემე მეც... ჩამოჯექი აგერ თხრილის პირზე და იოცნებე და იფიქრე სანამ გასურდეს... ვითომ დიდი სოვდაგარი ხარ ამ ქალაქში, რომ ვინმემ გიცნოს და შეგრცხვეს...

ესეცაა, რომ საექვო შეხედულებებისა ხარ... მეტათ დემოკრატიულათ გამოიყურები, მეგო-

ბარო, და ვაი თუ ერთგულმა წესიერების დამცველმა გამოგისტუმროს აქ უკანვე...

მოქალაქე ვარო?... ხა, ხა, ხა, ხა... ყველა შენისთანა მოქალაქე რომ იყვეს, მალე აშენდება ჩვენი ქვეყანა, მაგრამ რა გაეწყობა... აი, ბაღიც აგერ არის... აბა გადავლეთვალე ამ მოსიერნე ხალხს... როგორ მოგწონს?.

მართალი უნდა სთქვას კაცმა, მშვენიერება კია ეს ბალი... შორიდან გრძნობ ფიქვისა და კვ პაროსის სუნს, ყვავილთა სუნუნელებში შერეულს. რა ყვავილი გრდა, რომ აქარ იყავს—წითელი ვით, თავისუფლებების სურვილი, თეთრი, ვით სიკვდილის მოგონება, ყვითელი, ვით გაზაფხულის ოცნება... აგერ თითქოს შავი ყვავილებიც კი არის, თერი ფერადებით გადახაზული...

როგორი სწორი და შროიანია კვიპაროსის ხეები... აშობენ, კვიპაროსის ხე წმინდა კაცის გულზე ამოვიდა პირველათო და როგორც განსვენებული იყო მართალი და სწორი ცხოვრებაში, მის საფლავზედ ამოსული ხეც სწორათ გაიზარდა და ეს თვისება ყველა კვიპაროსის ხეს გადაეცაო... იქნება მართალია ეს ამბავი, იქნება ტყუილი—რას არ გამოიგონებს ადამიანის ოცნება... ლამაზები კი არიან... სალტეა ვით შემორტყმიან მალლობზე გაშენებულს ბაღს. შტოები ზეცისაკენ მიისწრაფიან, თითქოს მიწიერი არა უნდათარაო.

სულ რაღაც გამოურკვეველ ფიქრით არის გართული ეს ხეები და ზღვის სუნთქვასაც კი ვერ გამოაჰყავს ისინი ამ ოცნებისაგან...

დაბლა კი ზღვა გაშლილა... რამდენჯერ ვცდილვარ გარკვევით დამენახა ზღვის ჰორიზონტზე რამე... შეერთებულან ზღვა და ცა ერთად... კოცნიან ერთი მეორეს ცივი კოცნით და მეტს ვერაფერსა ხედავ... ნაპირზე-კი ზღვა ისეთია, თითქოს ახლობელი ვინმე იყოსო... გესაუბრება წყნარათ... მოგთხრობს შორეულ ამბებს... ხანდისხან გაგულისდება და ფაფარაშლილი ლომივით ეხეთქება ნაპირებს... მაგრამ ისევ მალე წყნარდება... ისევ იწყებს მღერას რაღაცას მოუხრობს ნაპირებს, კვიპაროსებს... იქნება აქ მო-

სიერნე ხალხსაც ეძახის რამეს... ეს რას გაიგებ ზღვისას კაცი, ან ამ კვიპაროსებისას რას გაიგებ, ზღვას რომ მალ-ლიდან გადმოსცქერიან. ესენი ხომ ადამიანები არ არიან, რომ რაიმე ვითხრან, გაგაგებინონ...

ხა, ხა, ხა, ხა! განა ადამიანი რამეს გაგაგებინებს... ან გეტყვის რამეს, ან შეგიცოდებს?..

გუშინ მე ზღვის ნაპირზე დავხეტიალობდი... წამოუბერა ქარმა და ქუდი ზღვაში გადამიგდო... ვერ ჩაველი წყალში — დარჩობის შემეშინდა და განწირულათ ჩავთვალე ჩემი ერთგული ქუდი, მაგრამ დახეთ ჩემს გაოცებას — ზღვამ ისევ დამიბრუნა ჩემი სიმდიდრე — გამოაქანა ტალღათი და მოხდენილათ გადმოაგორა კვიშაზე. არ წამართვა... ჰო და ასე, შენ უთხარი ადამიანს — თუ მოიგდო რამე ხელთ — რას დაგიბრუნებს...

გუშინ ზღვის ნაპირზე რომ დუქნებია — მათ ცეცხლი მოედო, სანამ მედუქნე ბერძნები ცეცხლს აქრობდნენ — მათი ხილი მთლათ დაიტაცეს დამეში... როგორ მოგწონს... რას გაიგებ ადამიანის ბუნებას...

ბ. მიწისშვილი.

(დასასრული იქნება)

სახალხო მოღვაწეანი

ჯარის კაცი.

ჯარისკაცი ვარ:
 მოწყვეტილი მშობლიურ კერას,
 და მ-ცემული
 აწ უკუღმართ ბედისა წერას!..
 მშვიდობით, ძმაო,
 შორს მგზავნიან — უცხო მსარეში,
 სადაც მომელის
 განსვენება ცივ სამარეში!..

სვამს.

სვამ, რას გადამეკიდე თავს რას დამჩხავი ზიანად, ერთხელც იქნება წამოვდგე, დავძახო ომახიანად:
 გკრა შუბლში, ტვინი გაგინთხო, ამოვაშხამო ყველაო,
 შენს ლეშზე გავენავეარდო ტურა, მგელი და მელაო!..

ივანე ტიტუნაშვილი.

ჩაგრულ ქმას!

ოხ, შე ბედით დაჩაგრულო,
 დატანჯულო სულო!
 ვა-ღვიძე, ნულარ გძინავს,
 შე ბედ-დალუბულო!
 გაახილე თვალი შენი,
 შე ბნელით მოცულო:
 დაინახე ავი-კარგი,
 შე ღვთით დაკარგულო!..

ბ. კვაცხუთელი.

"მუის საიღუმლო"

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 32—33)

ვარსკ-მრიცხე. (ჯდება ჩაფიქრებულად)
 წუთი და წამი ყველა მიჰქრის, მიჰქრის დღე, ღამე; წელი — წელს მისდევს და საუკუნო ჩაინთქება საუკუნეში... არარაობას წარმოადგენს ჩვენი აზრები, სურვილები, მისწრაფებანი. და არ არსებობს ქვეყანაზე ისეთი ძალა, რომე შესცვლიდეს სხვანაირად ცხოვრების სბოლას! (ბანიდან შემოდის ქურუმი)

ქურუმი. შენ აქ მარტო ხარ? სუყველანი უკვე წასულან?... მითხარ რას ნიშნავს ყოველივე რყევანი და ეს ხმაურობა?

ვარსკ-მრიცხე. მე შევარყიე სუყველანი, მიმნდობი ხალხი... მინდა, მე მათი სინიდის გამოვადვიძო, მშვენიერება დაკარგული — გულს ჩაუნერგო. ჯერ კიდევ ღრთა და თუ არა, მზე ისედაც ამობრწყინდება!

ქურ. მაშ მოატყუე შენ ისინი? აგრე ვფიქრობდი, სულ სხვა მიზეზი არის რაღაც ნზე რომ გაგვიქრა.

ვარსკ-მრიცხე. ბრძენი კაცი ხარ... საიდუმლოს შენთან თქმა ძალმიძს. სულ შორს აქედან — ტალახს და ღვედფს, ცეცხლს და ლითონს გაეარავარებულს მთა ისროდა შუაგულიდან. ფერფლის ღრუბლები უნახავი, უშვედლებელი ქარს მოჰქონდა გამძვინვარებით; ამიტომ არის მოგვევლინა ქუხილი-ელვა და მზეს ჩვენთვის მიეფარა ღრუბლთა გროვა. როცა გრივალი იგრივლებს, ამოვა მზეცა და დადგება ნათელი დღე.

ქურ. და სულ ეგ არის?
ვარსკ-მრიცხე. სულ

ქურ. და რადგან ვერც ყველაფერი წინასწარ იცი, მიტომ გვატყუებ?

ვარსკ-მრიც. ხომ გითხარი, რომ ადამიანი მინდა გარდაეჭმნა უკეთესად და თუ სიმართლით ვერ მივახწევ, სიცრუით ვიზამ.

ქურ. მოხუცო, შენ ბრძენი კაცი ხარ! მაგრამ მგონია, რომ ადამიანს-სიცრუითა ვერ აამაღლებ. და თუ გამჟღავნდა ვეც სიცრუე—სიკვდილსაც ვერ გადურჩები,

ვარსკ-მრიც. დიდი ხანია მას რომ ვგლიშემერყა რწმენა სიცოცხლისა და სულს მიხუთავს სიცრუე და ბიწიერება. ვერა ვხედავ ვერსად სიმართლეს და სიცოცხლეს საფრთხეში ვაგდებ. თუ ამაში ვერ გავიძარჯვებ, ავალ მაშინ სახრჩობელაზე ან და მე თვე-თონ... ასე სიცოცხლე საშინელი შემხუთველია... (აღკება) მანამ-კი წავალ ჩემსას მშვიდობით!

ქურ.—წავიდეთ, მოხუცებულო! დავიფაროს ღმერთებისა ძლიერმა ძაღვმა. (შიდას ბანისაკენ, რამდენიმე ხანს სტენა ცაღიერია. მარჯვნივ საჩქაროთ გამოდის ელდე და აქეთ-იქით იუფრება)

ელდე. არავინ არის... ყველა წასულა (ჩუმად ეძახის) არიოს! იაროს! აქეთკენ. ჩემო საყვარელო! (მარჯვნივ შემოდის ვ-შიკრაიკი)

ვ-შიკ. ოჰ, ჩემო კარგო! ჩემო სიცოცხლე! დღეს როგორი ბედნიერია ვარ! (ეხვევა) დაწყვეტილ სახლში როგორ მოხვდი? მითხარ, რა მოხდა?

ელდე (ეკვრის მას) არიოს, ჩემო მზეო. სამი თვე არის, რაც მხედართ მთავარმა მომიპარა და ფარაოს გადამცა მონად, ვგონებდი, აქ მოვკვდებოდი. უწინ საშინლად ვიტანჯვოდი, არ ვიცოდა ვისთან და რად ვარ. მერე, როდესაც უკუნეთი გამეფდა ყველგან, აქ მომიყვანეს, ფარაოს გასართობელად.

ვ-შიკ მე კი ტყვედ ვიქმენ... მითხარ, სამშობლოს რა დაემართა? ცოცხალი არის მამჩემი, დედა რასა იქს? ჩემი მეგობრები, თუ კი გახსოვან?

ელდე (სიუფანუდით უუფრებს მას) თვალებსა ჩემსა არ უჯერებს მიმიკარ გულზე. ხომ გახსოვს ერთად ვოცნებობდით, სულ ერთად ყოფნას? და უცაბედათ განშორება, ომი... შენი დაკარგვა! (ეხვევა) მაკოცე, მკოც-

ნე უფრო მაგრად, მე ხომ შენი ვარ, ისევ ისე შენი ელოცი!.

ვ-შიკ. თავი მენტება! ვერ გამიგია ეს ყველაფერი, ზღაპარია თუ სიზმარი?! ელოცი, ნუ თუ შენა ხარ?! გავიქცეთ აქედანა, ჩქარა გავიქცეთ! არაფრისა არ მეშინიან, შენთან ერთად მთებსაშეევანძრევი, ძლიერი ვარ, როგორც არას დრო!..

ელდე. ახლა არ შეიძლება. მოვიცადოთ ცოტაოდენი, ვარსკვლავთ-მრიცხველს ფარაო ესაუბრება. დღეს ღამით, როცა სუყველანი და ძინებენ, აქ გამოვალ. შენ აქ მლოდე და გავიქცეთ, გავიქცეთ და წინ ან სიკვდილი—ან სიცოცხლე!

ვ-შიკ. სჯობს მარტოხელა სიცოცხლესა, სიკვდილი ერთად.

ელდე. ოხ, სყავარელო! გაგონდება ის ღამეები, როცა ერთმანეთს ჩახვეულნი ვისხედით ერთად და უცქეროდით ვარსკვლავებს სულ განაბულნი? გაგონდება ჩემი სიმღერა? ო, ჩემო კარგო! (ჭკიცნის)

ვ-შიკ. მზათ ვარ ამ ქვეყნად დავივიწყო სუყველაფერი, ოღონდ გიკვირო და მესმოდეს შენი ხმა ნაზი. კიდევ მითხარი, მითხარ კიდევ!..

ელდე. მიყვარხარ, შენ მიყვარხარ, ო, ჩემო კარგო! იქით წავიდეთ, ჩემს ოთახში, საიდანაც გასასვლელია. თუ ვინმე მოვა, შენ მაშინვე დაიმაღები შუაღამემდინს, და მერე... (იღინის) და მერე ხომ იცი რაც უნდა მოხდეს!..

ვ-შიკ. როცა ყველანი დაიძინებენ..

ელდე. (აწვევტიხებს) წავიდეთ, წამო, გიმღერებ მე უწინდელსა საგალობელსა, შენ კი იჯექი ჩემს მუხლებთან თავ-დაყრდნობილი; ყველა იფიქრებს არის მზიარულად, დამშვიდებულათ, მაშინ გაქცევაც მოხერხდება უფრო ადვილათ.

ვ-შიკ წამოდი, წამო, ჯადოსანო!.. (შიდას მარცხნივ. ისმის ჩანგის ხმა და დეკლამაცია წინად თქმული ლექსისა. შარხით. დიდი სიჩუმე. მარჯვნივ შემოდის 1-კარის კაცი)

1-კარის-კაცი. ვარსკვლავთ-მრიცხველი მგონი სტყუის უკანასკნელმა საათმა დაჰკრა და ფარაოც ღმერთებისგან შეწყყნარებას ტყუილად მოელის. ლოცვა-ვედრება მათამ-

დე ველარ უწევს; თავზე დაგვატყდა განრისხება და მათი წყრომა ეხლა დასრულდა. (ეუბრს უკადებს შესიკას) უკრავს უღარდელი და კი ვერა ჰგრძნობს რომა ახლოა განკითხვის ქამი.

ფარაო (შეშოდის შეშფოთებულად) გესმის შენ?

1-კ-კაცი შიკრიკი! მა თან ელოე!

ფარაო. მოიცა, იქნებ ჩვენ შევცდით? ეხლავ წავალ იქ. (უნდა იქ წასვლა. 1-კარის კაცი შეაყენებს)

1-კარის-კაცი. ოჰ, მბრძანებელო, ნუ, ნუ წახვილ! შენ მოგკლავენ (სტენის იქიდან ელოეს ჩუმი სმამოისმის. „შკოტნე არიას, შკოტნე შატად, მე შენ მიუყარხან!“ ისევე ჩანგის ხმები)

1-კ. კაცი. ექვი არაა, ის იქ არის!

ფარ. (ჩუმად) ოჰ, რა საშინლად გადუხლი? იხმე ყველანი. ბრძანება გაეც, გასვლი იგი დაჰკეტონ. ყველამ უეჭიროს (1-კარის კაცი შადის. ფარაო შადლა დაჟდება. სიხუმე) რა საბოლოო ვარ, რა მოღლილი. როგორ მიძიძმ მე .. სულ რღაცისა მეშინიან და ჩემს გარშემო ვერა ეხლამ მე მეგობრეა? (დგება და ფარდას გადახდას) ვარსკვლავები არა სჩანს... მზე გამქრალია... (მოშორდება) უკუმეთი .. უკუმეთი... უკუმეთია!.. და ყველგან მხუთავს უკუმეთი... (გადის. დაბზახს უახლოვდება. გუგუნს გაისმის. ჩანკის ხმები შესწვდება და ელოეს კივილი მოისმის. შეშოდის უეკლანი)

ხმები:—შენ გვიხმობლი?! რა მოხდა?! საფრთხე მოგელის?..

— მე მეტოდება იგი. (მარჯვნივ ფეხის სმა მოისმის) ვინ მოდის? (შეშინებული) ხმა ამოიღე ვინ ხარ? (შეშოდის ფარაო)

ფარ. ეს მე ვარ. ვარსკვლავთმრიცხველი იმეორებს კიდე თავისა?.. სად იყოფება ის შიკრიკი, ვის მოსმენაც მე მოვისურვე? იგი საეჭვოთ მიმჩნია.

1-კ კაცი. ტყუილად გააგდე, მბრძანებელო.

ფარ. როგორ გაბედა ხელის შეშლა! გამოძიებას დაუნიშნავ და მერე კი უწყალოდ დავსჯი. მაგვარს მზღებლებს მე ვერა ვგუობ.

1-კ. კაცი უძლიერესო მბრძანებელო. მომისმინე შენსა ერთგულსა, უძველესსა მოსა-

მსახურეს სჩანს, ღმერთები ჩვენ განვარისხეთ. გადაიყარე გულს ბოროტება და ერთხელ მაინც იყავ მოწყალე. გახდი მიმდრობი და იქნება სუყველაფერი სიკეთისკენ გადატრიალდეს.

ფარ. (მრისხანედ) ნუ სულელობ! მათ ეგონებთ, რომ შევშინდი, გავხდი უძლიერი. მაშინ კი უფრო სძლიერით ამბობება ფებს მოკიდებს და ქვეყანას მოიცავს შიში. არა, იქნეს ყველაფერი უწინდებურათ.

1 კ. კაცი (დადონებულად) როგორც გნებავდეს მბრძანებელო! მოშორდება ფარაოს, ჩანჩგი შესწვდება. სტენის იქით ჩუმი. სმა 3-შიკრიკისა. „ელოე ჩემო მარგალიტო, რა კარგი ხმა გაქვს.“

ვარსკვ მრიცხვ. მკლანდება--დადგა საათი, რომელსაც მე დიდხანს ვლოდა.

ფარ. (2-კარის კაცს) ფარდა ასწიე.

(2-კარის კაცი ასწევს ფარდას, რამედიც ელოეს თახსს ჭფარავს. ელოე და არიოსი გადახვევლნი გაშოდის და ამაყად შეჩერდებიან გამოსასვლელ კარებთან. ფარაო დიდხანს უტყქრის).

ფარ. მოღალატენო! რა სამარცხვინოდ მოაბტყუეთ. შენ ელოე, განა არ გენდე, ვაგახვიე ჩემსა-ღერსში, ფუფუნება და სინარჩარე ფერხთ გაგიშალე? შენ კი არიოს, არ გაჩუქე განა სიცოცხლე?! შენ ტყვე იყავ? საცოდავი მონა—მოჩილი და მე არ ვიყ ვჯარის კაცად მოგიახლოვე. რით მომ გე მაგიერი.

ელოე. სტრფოა ჩემი.

3-შიძ. ერთი მიწა წყლის შვილები ვართ და მას აქეთ დიდი ხანია, რაც ცოლქრმოზისა პირობა გვაქვს.

ფარ. პირობა გაქვ-?! რას მიქვიან პირობა მაშინ, როცა მე ვისმე ცოლად დავსახე! შენ მონა ხარ, ეგეც მონაა—მე კი მეფე, მბრძანებელი ყველა თქვენგანის. (ხალხს) რა უყოთ ამათ?

ხმები: დავწვათ... ორივე ერთად დავწვათ. . დეე! ცეცხლმა დასწეროთ ჯვარი!!!

ფარ. (მოდუშული) არა, ცოტა არის ეგე სასჯელი. ელოეს დავწვავ და შენ კი... (დიდხანს უტყქრის 3-შიკრიკს) შენ კი გაგიშვებ.

ჯერ უცქირე მისა წამებას და მერე გასწი ცხოვრე, ვაიხარე მოგონებითა.

მ-შიკ. მეფე?

ფარ. ყველაფერი ვსთქვი.

მ-შიკ. — (წინ წამდგება) ოჰ, მბრძანებელი, იქონიე ცოტაოდენი შებრალება! საუკუნო ერთგულებას ვართ შეფიცული. გაცე ბრძანება მე მაწამონ. დაითარე სუსტი ქმნილება. მიბრძანე, ბრძოლისა ველზე გალაშქრება, — თავს შემოგწირავ, გასახელებ—მაგას ნუ მოჰკლავ; სიცოცხლე მიეცე, წამებას ნუ აცდევინებ. იგი სუსტია, უბატრონო ..

ელოე (აწვევტანებს) ყური არ უგდო მბრძანებელი! მზათა ვარ სიკვდილი განვიცადო და მისი გულისათვის თვით წამებაც სულ ღიმილით გადავიტანო.

მ-შიკ. ჩუმაღ, გაჩუმდი! უშენოდ სიცოცხლე არ არის. ახალგაზრდა ხარ, მშვენიერი და სიცოცხლეც, უფრო შენ გშვენის.

ელოე. არიოს, რას ლაპარაკობ? (მუხდებზე დაეცემა) მეფე ძლიერო! გემუდარები, მე მაწამო ოღანდ ის არა. ფიცი მომეცე, განსაღდელი რომ მას არ ელის!

მ-შიკ. (ეღაეს ხელსა ჰკრავს) მბრძანებელი! სულ ერ-ხელ მინც მოიბრძილე მე შენი გული! მაწამე, ჩამომახრჩე და მხოლოდ ის კი შეიბრალებ!

ფარ. შენი ვედრება მე არ მესმის. ერთხელა ვთქვი...

მ-შიკ (დამუქრებით) არ მოისურვე?

ფარ. არა.

მ-შიკ. (ამოძრბს ხანჯალს და თავი უნ და მოიკლას. რამდენიმე კაცი ხელსა სტაცებს, ეღაეს კივილი. ჭახჭახს მზე სიბნელეს არდევებს და გააბწვინებს ამ ვაკუფის)

ყველანი: მზე!!! (ზოგი არიოსთან დგას. ზოგი ბანასკენ მიაშურებს. ფარავ დგას და მშვიდებული)

ვარსკვ-მრიცხველი დაჰკრა საათმა! (სიხარულით)

ელოე. (გხვევა არიოსს) არიოს! არიოს!.. მე გივედრები!..

ვარსკვ-მრიცხვ. შენ დაინახე, მბრძანებელი. სიყვარულის გრძნეული ძალი!

ფარავ (ჩუმაღ დაჰდებს და თავს ხელე-

ბზე დაურდნობს) წუთის სარბოლაში განვიცადე მე საუკუნე. საბურავი მოეხსენა იმას, რაც ჩემთვის დამალულიყო... (დადონებული) ბრძენო მოხუცო, კაშკაშებს მზე, მაგრამ სულში უფრორე ბნელი.

ვარსკვ-მრიც.— შეიყვარე და მზეს იხილა.

1-კარის კაცი (მიდის ფარავთან და უჩვენებს ეღაესა და შიკრაგზე) როგორ მოვიქცეთ?

ფარ. მიანიჭეთ თავისუფლება.

ელო. წამო, წავიდეთ საყვარელო!

მ-შიკ (ხანჯალს გადაადებს) წამო წავიდეთ, მივ გებოთ ახალს ცხოვრებას. ეხლა ჩემთვისაც ნათელია

მზის საიდუმლო!

(გადაეხვევიან ერთმანეთს)

ფ ა რ დ ა .

ელო ანდრონიკაშვილი.

ანდრონიკაშვილი

- ეკატერინე ივანეს ასულის სარაჯიშვილისა** (შაეტეს: 1) დიდუბის ეკლესიას 10, 000 მან. 2) ავლაბის წმ მარინეს ეკლესიას 2. 000 მან. 3) ღარიის მონასტერს ავლაბაში 500 მან. 5) დიდბის წმ. გიორგის ეკლესიას 1. 000 მან. 5) „ დვთის მშობლის ეკლესიას 500 მან. 6) კალაუხის ეკლესიას თბილისში 1. 000 მან. 7) ხიონის ეკლესიას 1. 000 მან. 8) მტკეთის ეკლესიას 1. 000 მან. 9) მარტოფის ეკლესიას 500 მან. 10) „ წმ. ანტონის ეკლესიას 500 მან. 11) დიდი ღილოს ეკლესიას 500 მან. 12) წმ. სამების ეკლესიას თბილისში 500 მან. 13) მთაწმინდის (მამა დავითის) ეკლესიას 500 მან. 14) სამესთა წმ. სტეფანეს მონასტერს 500 მან. 15) „განათლებლის“ საზოგადოებას მისის და მისი მეუღლის დ. ზ. სარაჯიშვილის სახელობაზე ქალთა პროფესიონალ სკოლის დასაარსებლად და შესანახად ავლაბაში 50 000 მან. 16) მოსკოვის ქართულთა საზოგადოებას 10, 000 მან. 17) ქართულ ფილანთროპიულ საზოგადოებას 5. 000 მან. 18) რუსეთის მეგობანეთა და მედვინეთა მედვინეობის სადგურს ადესაში 5. 000 მან. 19) კავკაზის ქართულ სკოლას

10. 000 მან. 20) თბილისის მომავალ ზოლი-ტუნუკუშს (ახუ სხვა რომელი უმადლეისი სასწავლებელიც იქნება) ფიზიკურ კაბინეტის მოსაწყობად 50. 000 მან. 21) მცხეთის სამთავისის დედათა მიწისტერის სკოლის საჭიროებისათვის 5. 000 მან, 22) ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას თავის საჭიროებათა გასაძღვრად 25. 000 მან. 23) ქალაქ ქუთაისის საქალაქო თეატრის სასაგებლად 150. 000 მან. 24) ქალაქ კავკავს დარბ მოსწავლეთა სწავლის ფულით გასასტუმრებლად ეროვნების განუწყვეტად 30. 000 მან. 25) ქართულ საისტორიო და სეთნოგრაფიო საზოგადოებას 25. 000 მან. 26) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სამოსწავლო წიგნების გამოსაცემად და სკოლებისთვის, უმთავრესად შრომისათვის სკოლების დასახსრებლად და შესახად 100. 000 მან. 27) სიტუვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებას შრეშიების დასახიშნად მისის და განსვენებულ მისი მუდლის დ. ზ. სარაჯიშვილის სასჯლობაზე საუკეთესო ბელებრისტულ ნაწარმოებისთვის 20 000 მან. 28) ქართულ დრამატულ საზოგადოებას 100. 000 მან. 29) მტრე წლოვან დასახელებათა სახელმწიფოს 10. 000 მან. 30) ქალაქ თბილისის სადარტაქრო სააგადმეოფისთვის შენობის სასაგებლად მისის და განსვენებულ მისი მუდლის დ. ზ. სარაჯიშვილის სასჯლობაზე 200 000 მან.

სულ 814, 500 მან.

ეს ფულები დანიშნულებისამებრ თანდათან მიეცემათ შემდეგ არა უგვიანეს 2 წლისა.

ამ ქონების გარდა განსვენებულმა დასტოვა ქარხები და სამრეწველო დაწესებულებანი, რამელსაც ესა დასჯოვებით აუასებენ თნ მიდობანდ.

ფიქსის და ამ დაწესებულებათა განადგება მოხდება არა უგვიანეს ექვსი წლისა და რაც თანხა შედგება უნდა გაუნაწილდეს წ. კითხვის საზოგადოებას, თბილისის დრამატულ საზოგადოებას და ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას

ამ ანდრძის ამსრულებლად დანიშნულნი არიან: ძმა განსვენებულისა ადამ ივანეს ძე ფორაქიშვილი, დავით ივანოვის ძე ფორაქიშვილი, ალექსანდრე თევდორეს ძე სარაჯიშვილი, მისეილ ვანტანგის ძე შახბუდი, და თ დი გორგი ვანდიის ძე მახაბუდი.

წერილი აგებვი

➤ **ქართული თეატრის საზოგადოების წარმოება** თბილისში წელსაც მსახიობთა ამხანაგობა კისრულობს ქართ. დრამ. საზ.—ის დახმარებით.

➤ **ტრალიკულად გარდაცვალებულის შტაბის ხმარებულის** სსოენის აღსანიშნავად მისმა დეამ ოლამ ჩვენი ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ამა წლის ბოლომდე გაუწერა დ. ცხინვალის სამკითხველოს, ხოლო ძმამ მიხეილმა სეზონის გათავებამდე აგარაკ ბახმაროს სამკითხველოს.

➤ **სოფ. ხაშვი** (გარეკახეთი) მარიამობისთვის 15 შესდვა დამფუძნებელი კრება ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ხაშვის განყოფილებისა და შესაფერი შუამდგომლობაც აღიძრა საზოგადოების განყოფილების დასაც ნონეზლად. ადგილობრივი გლეხნი ამ საქმეს დიდის თანაგრძნობით შეხედენ.

➤ **შურ. „თეატრი და ცხომკრების“** სასარგებლოდ ნ. ბ. ყუგან მივიღეთ ექვსი (6) მან.

➤ **აზარელთა დო მოში დაჯარილთა** სასარგებლოდ ს. ხაშვი მღ. ი. ხაბაზიშვილის მიერ წერილობრივად შეკრებილი 10 მ. 6 კ. მივიღეთ.

➤ **სად. გურჯაანში** კვირას, მარიამობისთვის 7 გურჯაანის საღურთის უფროსის ლოლაძის თანხმობით წარმოდგენილ იქნა „დაძმა“, ვ. გუნიასი. საზოგადოება ძალიან კმაყოფილი დარჩა. საერთო შემოსავალი იყო 148 მან. ხარჯი დაახლოვებით 56 მან. წმინდა შემოსავლიდან 25% გადაიღო კავკასიის ფრონტზე მებრძოლ ჯარისკაცთა ოჯახობისთვის, 75% ადგილობრივ სკენას გასამართაეთა. —ამ ზაფხულს ბლოლაძის მეცადინეობით გურჯაანის საღურთზე ეს მეორეთ გაიმართა წარმოდგენა.

➤ **საბარამუში** მარიამობისთვის 6 წარმოდგენილ იქნა „პეპო“.

➤ **არშინ მალ-ალანი** ავლაბრის თეატრში ქართულს ენაზე მეოცდარეჯერ დაიდგმის შაბათს, მაჩამობისთვის 27, მთარგმნელის ვ. გიგოშვილის გამოსათხოვრად (ვ. გიგოშვილს სამხედრო სამსახურში იწვევენ).

➤ **თბ. ქართ. ფილარმ. საზ.-ის** სამუსიკო სკოლაში მოწაფეთა მიღება დაიწყება მარიამობისთვის 26, მეცადინეობა—ენკე ისთვის 1.

➤ **სურამის ქარ. დრამ. საზოგადოება** გამართა ბავშვების საღამო. აფიშა მეტად შინაარს ანი და მიმზიდველი იყო, მხოლოდ თვით საღამო ვერ გამოდგა შინაარსიანი, უფერულად ჩაიარა, პატარა „სკანდალსაც“ ჰქონდა ადგილი და საზოგადოება უკმაყოფილო დაიშალა.

წერილი რედაქციის მიმართ

ქნო რედაქტორო! უმოზილიესად გთხოვთ მოათავოთ თქვენს პატივცემულ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ში შემდეგი:

დაახლოვებით, სამი კვირის წინეთ შემხვდა ერთი ვინმე ყმაწვილი, რომელიც გაშეცნა წულუკიძეთ და- ამიხსნა, რომ შატერიალურათ ცულ მდგომარეობაში, იმყოფება და მთხოვა ქუთაისში ჩასასვლელი ფული შემეგრავებინა მისთვის. მეც შევედი მის მდგომარეობაში და შეუგროვე ნაცნობებში 9 მან. და ორი კაპე- იკი, რომელიც გადაეცე. რადგანაც ჩემგან შეგროვილი ფული საკმარისი არ იყო ქუთაისში ჩასასვლელად, ამისთვის ზემო აღნიშნული ყმაწვილი გავაცანი ერთს ჩემს მეგობარს და ვსთხოვე მასაც აღმოეჩინა დახმარე- ბა. მანაც შეუგროვა რამოდენიმე მანეთი, მაგრამ სა- წამ გადასცემდა, სარწმუნო წყაროებიდან გაეგო, რომ ეს ყმაწვილი დახელოვნებული შანტაჟისტია. ამის და მიხედვით შეგროვილი ფული აღარ გადაეცა; პირიქით ჩემგან გადაცემულ ფული უკან მოეთხოვა. მაგრამ მას დაებრუნებია მხოლოდ ექვსი მანეთი, რომელსაც ფოსტის ხარჯის გამოკლებით გიგზავნი და გთხოვ შე- მომწირველთა უმრავლესობის სურვილისამებრ გადას- ცეთ: სამი მანეთი ქართულ თეატრს, და დანაჩენი ორი მანეთი და 85 კაპ. ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებელ ფონდისთვის. ტ. ბერიშვილი

სამუსიკო სკოლა ქართ. ფილარმონიულ საზოგადოებისა

მოწაფეთა მიღება დაიწყება 26 აგვისტოდან 10—2 ს.-მდე დღისით და 5—7 ს.-მდე საღამოთი სკოლის კანტორაში სლეპცოვის ქ., ზელნიცის სახ. № 4 მასწავლებელნი: ფორტეპიანოს კლასი ე. დ. აბელოვისა, მ. გ. ანდრონიკოვი-ციციანოვისა. ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ე. გ. ქიქოძე, ე. ი. მადატოვაპოლ- ტრაკია, ე. ვ. ფოგელისა. სკრიპკა—მ. ტ. ვასილევ- ვი, პ. ა. ტიზენგაუზი ვიოლონჩელი—ე. ნ. კაპელნი- ცკი. კონტრაბასი—ბ. პინსკი. სიმფერა (სოლო)—მ. ა. კოლოტოვისა. თეორიის კლასები—ზ. პ. ფალია- შვილი. ხორო—ზ. ი. ჩხიკვაძე.

ახალად მოწვეულია ფორტეპ. მასწავლებელი, პეტროგრადის კონსერვატორიაში სწავლა დამთავრე- ბული პროფეს. მედემის კლასის თავისუფალი ხელო- ვანი ე. ვ. ალვინიკოვისა. სწავლის ფასი: ფორტეპიანო, სკრიპკა და ვიო- ლონჩელის კლას. 80 მან. წელიწადში, კონტრაბანი 50 მან., სიმფერა 110 მან თეორიის კლას. 25 მან., სწავლის ფასი გადახდებია ნახევარი წლობით წინ და წინ. პარაკლიისი გადახდილი იქნება 4 სექტემბერს შუადღის 1 საათზედ სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

სტ. გრიგოლ ჯუშაბის ძის ხარხაულიძის გარდაცვალების ორმოცის შესრულების წირვა- პანაშვიდი გადახდილ იქმნება ნაძალადევის ივე- რიის მღვთისმშობლის ეკლესიაში **კვირაპ. მარტიანობისთვის 21**, შუადღის 12 საათზე, რა- საც აცხადებებს განსვენებულის მშობელნი ზურაბ და ოლა, და-მმა სოფიო და მიხეილ და რძალი დარეკო.

ახალ კლუბი 1 კვირის პროგნოზი 21 28 აგვისტო

- ორშაბათი** — რუსული ოპერეტა
- სამშაბათი** — სიმფონიური კონც.
- ოთხშაბ.** სიმფონიური კონცერტი
- ხუთშაბ.** — ქართ. წარმ. (უფას); საზანდარი პარასკ.
- პარასკ.** — სინემატოგრაფი; მუსიკა.
- შაბ.** — სიმფონიური კონ.
- კვირა** — საბავშვო საღამო, მუს.სინემატ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8 1/2 სა სუმსასვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ. სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და ტუდენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1-05 კ.

სარკუსის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 131) **ერთი კვირის პროგრამა 21—28 აგვისტო** **კვირა** — კონცერტი ვანო სარაჯიშვილის მო- ნაწილეობით; საზანდარი.

- ორშაბათი** — სინემატოგრაფი; საშხ. მუსიკა.
- სამშაბათი** კონცერტი სიმებიანი ორკ.
- ოთხშაბათი** — ქართული წარმოდგენა; ბალ- ში სამხედრო — მუსიკა
- ხუთშაბათი** — სინემატოგრაფი; საზანდარი.
- პარასკევი** — სინემატოგრაფი; საშხედრო მუსიკა.
- შაბათი** — საღამო — მეჯლისი; სიმებიანი ორ- კისტაი,
- კვირა** — სინემატოგრაფი; მუსიკა

წარმოდგენა-კონცერტებზე შესვლა უფასოა



რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა